ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2025 წლის 30 იანვარი

ქ. ნინოწმინდა

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობის 2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების პროგრამისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობის 2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების პროგრამისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2025, 010250020.35.142.016345) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის

ა) პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები (0 - დან 65000 - ის ჩათვლით სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახები) და უსახლკარო ოჯახები, თუ სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 - ს.“;

ბ) მე-8 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირების (0 - დან 65 000 - ის ჩათვლით და 65000-დან 140 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახები) სოციალური დაცვა და უსახლკარო ოჯახების ფინანსური დახმარება, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.“;

გ) დანართის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უსახლკარო ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ნაქირავები ბინის ქირის ასანაზღაურებლად გაეწიოთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 300 ლარის ოდენობით. დახმარების თანხა გადაირიცხება გამქირავებლის პირად საბანკო ანგარიშზე, მომართვის თვის მომდევნო თვიდან.“;

დ) დანართის 23-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება/სტაციონალური მკურნალობა, დაფინანსდება სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 50%-ით 100 001-მდე სარეიტინგო ქულებით, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა, ხოლო სარეიტინგო ქულების გარეშე სახელმწიფო დაზღვევის თანხის გადახდის შემდეგ, დარჩენილი თანხის 40%, მაგრამ არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა, მხოლოდ 250 ლარზე მეტი თანხის გადახდის შემთხვევაში.“;

ე) დანართის 24-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე C00-დან C97-ის ჩათვლით) მქონე პაციენტების მკურნალობისათვის სამგზავრო ხარჯების დასაფინანსებლად დახმარება.“;

ვ) 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე) მქონე პაციენტებს, რომლებიც შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში გადიან სათანადო მკურნალობას(სხვადასხვა სახის თერაპია), გაეწიოთ ფინანსური დახმარება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო პირებს, რომლებსაც არ ესაჭიროებათ რაიმე სახის თერაპია, მაგრამ წლის განმავლობაში ესაჭიროებათ გამოკვლევების ჩატარება, გაეწიოთ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1 500(ათას ხუთასი) სარეიტინგო ქულების გარეშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვაან არაიანი**